საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N2289 2025 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

პირებისთვის, რომელთა შრომის ანაზღაურების გაანგარიშება დაკავშირებულია შესრულებული სამუშაოს მოცულობასთან/ღირებულებასთან (ნამუშევარი საათების, მომსახურების საფასურის წილის ან/და სხვა მაჩვენებლის მიხედვით), „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულისაგან განსხვავებული წესის დადგენაზე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

1. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს მიეცეს თანხმობა, პირებისთვის, რომელთა შრომის ანაზღაურების გაანგარიშება დაკავშირებულია შესრულებული სამუშაოს მოცულობასთან/ ღირებულებასთან (ნამუშევარი საათების, მომსახურების საფასურის წილის ან/და სხვა მაჩვენებლის მიხედვით), დაადგინოს „საჯარო დაწესებულებაში

შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულისაგან განსხვავებული წესი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე

დანართი

ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაზე დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურების ტარიფები		
დასახელება	**ღირებულება ლარებში**	**შენიშვნა**
მეთვალყურე	40.25	ერთი სესია
პასუხისმგებელი პირი	102.50	აღნიშნული პირი იგზავნება თბილისიდან მუნიციპალიტეტებში. პასუხისმგებელ პირებს ენიშნებათ განსხვავებული ხელფასი, რომელშიც გათვალისწინებულია სასტუმროს და გზის ხარჯი. აქედან გამომდინარე, ხელფასები განსხვავებული იქნება რეგიონების მიხედვით (მინიმუმ 102.50 ლარი, მაქსიმუმ დღეში 332.75 ლარი) სამუშაო დღედ ითვლება გამოცდის წინა დღეც.
გამსწორებელი	80.53	I-II გამსწორებლის დღიური ხელფასი
გამსწორებელი	102.50	III გამსწორებლის დღიური ხელფასი
თარჯიმანი	32.95	1800 სიმბოლო
რედაქტორი	10.25	300 სიტყვა
საპრეტენზიო კომისიის წევრი/თავმჯდომარე	252.9	პირველი დღე
	166.4	შემდეგი დღე
ექსპერიმენტული ტურის სპეციალისტი (ფიზიკა, ქიმია)	92.25	დღიური ხელფასი
ოპერატორი	36.6	ანაზღაურება 4 საათში
ტექნიკოსი (მოსმენის დავალებების ჩაწერა/მონტაჟი)	40.25	ანაზღაურება 1 საათში
ბრაილის სპეციალისტი	80.55	დღიური ხელფასი